საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

15 ივნისი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №95/17

-- -- 2017 წლის 07 ივნისის №95 საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 04 მაისის №-- დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მოსამართლე -- არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობები. ამასთან, სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს მიიღო მიკერძოებული და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები კერძოდ:

-- სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, 2016 წლის 24 ნოემბრის და 2017 წლის 04 აპრილის სასამართლო სხდომებზე, მოსამართლე -- დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების დაშვების თაობაზე იმ პირობებში, როდესაც

დაცვის მხარეს არ ჰქონდა დასაბუთებული საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულებების სასამართლოსთვის წარუდგენლობის მიზეზი.

საჩივრის ავტორის შეფასებით, მოსამართლემ ზემოაღნიშნული ქმედებით დაარღვია საქართველოს სსსკ 25-ე მუხლის პირველი ნაწილის და 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესი.

ამასთან, -- საჩივარში აღნიშნავს, რომ -- მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, რომელსაც ასევე განიხილავდა მოსამართლე -- ბრალდების მხარემ, 2017 წლის 28 აპრილის სასამართლო სხდომაზე, დააყენა შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე, რაზეც მოსამართლემ მიიღო სუბიექტური და უკანონო გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა, იმ პირობებში როცა ბრალდების მხარეს ცალსახად დასაბუთებული ჰქონდა მტკიცებულებების საქმის არსებით განხილვამდე წარუდგენლობის მიზეზი.

ზემოაღნიშნულის გარდა, -- საჩივარში აღნიშნავს, რომ -- მსჯავრდების სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაცვის მხარეს არ ჰქონდა დასაბუთებული შუამდგომლობა უცხო ქვეყანაში მყოფი მოწმე -- დისტანციური დაკითხვის თაობაზე და ამის მიუხედავად, მოსამართლე -- უგულებელყო კანონის მოთხოვნები და დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა მოწმის დისტანციურად დაკითხვის თაობაზე, რითაც უხეშად დაარღვია კანონის მოთხოვნები.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 28 აპრილს, -- მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, ბრალდების მხარემ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით ახალი მტკიცებულებების დართვის თაობაზე. მოსამართლე -- განიხილა და არ დააკმაყოფილა ბრალმდებლის შუამდგომლობა.

-- სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, 2016 წლის 24 ნოემბრის და 2017 წლის 04 აპრილის სასამართლო სხდომებზე, მოსამართლე -- განიხილა და დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების დაშვების თაობაზე.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის განაჩენით, -- ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ 19,108-ე მუხლთ გათვალისწინებული ბრალდების ნაწილში და ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა.

ეთიკის წესების პირველი მუხლის თანახმად, „მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად.“ იმავე წესების მე-10 მუხლის შესაბამისად, „მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა. დაუშვებელია, რომ პროცესის მონაწილის რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, წოდებრივი, თანამდებობრივი, ქონებრივი, რელიგიური, სქესობრივი კუთვნილება ან სხვა გარემოება გავლენას ახდენდნენ მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერებასა ან მისი უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებაზე.“

ამასთან, ბანგალორის პრინციპების ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაა მიუკერძოებლობა. ამ საკითხს მთლიანად მიეძღვნა ბანგალორის პრინციპების მე-2 თავი. ხსენებული პრინციპი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული, „მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას.“ ბანგალორის პრინციპების 2.1 პუნქტის თანახმად, „მოსამართლემ თავისი სამოსამართლო ვალდებულებები უნდა განახორციელოს წინასწარი კეთილგანწყობის, ტენდენციურობის ან წინასწარ შექმნილი ცუდი აზრის გარეშე.“ იმავე პრინციპების 2.5 პუნქტის მიხედვით, „მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე იმ შემთხვევაში, თუ მისთვის შეუძლებელია საქმეზე მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღება ან იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტურ დამკვირვებელს შესაძლოა გაუჩნდეს ეჭვი, რომ მოსამართლეს შეუძლია საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა.“

ასევე, სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების 52-ე მუხლის თანახმად, „ობიექტურობა და მიუკერძოებლობა ძირითადი თვისებებია, რომლებიც მოსამართლეს უნდა ახასიათებდეს და მისი პროფესიის განუყოფელი ატრიბუტი უნდა იყოს. მიუკერძოებლობა რეალურად უნდა არსებობდეს და ასეთად აღიქმებოდეს. მიკერძოებისა და წინასწარი უარყოფითი განწყობის შეგრძნება უკმაყოფილებისა და უსამართლობის განცდას იწვევს და სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობას არყევს. იმის დადგენისას, თუ რამდენად მიუკერძოებლად გამოიყურება მოსამართლე საზოგადოების თვალში, კრიტერიუმად გამოიყენება საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი. მოსამართლის

მიუკერძოებლობა შეიძლება ეჭვქვეშ აღმოჩნდეს ზოგიერთი მიზეზის გამო, მაგალითად ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო არსებობის, სასამართლო დარბაზში მოსამართლის ქცევის ან მისი საურთიერთობო წრის, ასევე სასამართლოს ფარგლებს გარეთ საქმიანობის გამო.“ შესაბამისად, ხსენებული პრინციპის დარღვევაზე მაშინ შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც მოსამართლის მიკერძოება არა მხარის სუბიექტური შეგრძნებაა, არამედ „საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის“ მიერ ობიექტურ რეალობად მიჩნეული მოვლენაა.

ასევე, საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, ყურადღება ასევე უნდა გამახვილდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რამოდენიმე მუხლთან მიმართებაში კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის არსებითი განხილვის დროს დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში სასამართლო მხარის შუამდგომლობით იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვისას არსებითად ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, თუ ამ მტკიცებულების მოპოვება ან მისი მოპოვების შესახებ შუამდგომლობის ამ კოდექსით დადგენილი წესით დაყენება მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მტკიცებულების მოპოვება ხდება ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობის განხილვის შედეგად უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას მისი

დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ.

-- -- მიერ საჩივარში მითითებული სასამართლო სხდომების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პროცესში მონაწილე მხარეებმა იხელმძღვანელეს საქართველოს სსსკ 239-ე მუხლის საფუძველზე და საქმის არსებითი განხილვის დროს, დამატებითი მტკიცებულებების დაშვების დროს შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს. მოსამართლე -- -- სისხლის სამართლის საქმეზე დასაბუთებულად მიიჩნია და დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, ხოლო -- მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი ბრალდების მხარის შუამდგომლობა მიიჩნია დაუსაბუთებლად და არ დააკმაყოფილა.

ამდენად, საქართველოს სსსკ 239-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილების, 94-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, მოსამართლე -- მხარეთა შუამდგომლობების განხილვისას მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

საქმეში წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად, არ გამოვლენილა რაიმე ფაქტი, რომელიც დაადასტურებდა მოსამართლის მხრიდან მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევას.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური სამართალწარმოება არ გულისხმობს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დასაბუთებისა თუ შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო, შესაბამისად, არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავდა, რომ -- მსჯავრდების სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაცვის მხარეს არ ჰქონდა დასაბუთებული შუამდგომლობა უცხო ქვეყანაში მყოფი მოწმე -- დისტანციური დაკითხვის თაობაზე და ამის მიუხედავად, მოსამართლე -- უგულებელყო კანონის მოთხოვნები და დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა.

სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ -- სისხლის სამართლის საქმეზე, 2017 წლის 15 მაისის სასამართლო სხდომაზე გაგრძელდა დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპი. კერძოდ, სასამართლო სხდომაზე დისტანციური წესით დაიკითხა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მოწმე - --

აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სსსკ 243-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, მოსამართლე მოქმედებდა მისი დისკრეციული

უფლებამოსილების ფარგლებში კერძოდ, ხსენებული ნორმის თანახმად, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს.

ამდენად, საქმის მასალების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, არ გამოვლინდა მოსამართლე -- მხრიდან დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75^{1}-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 6 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10}-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 75^{12}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №95/17 მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი